სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/364

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2019

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მოხსენებითი ბარათის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის 2019 წლის 19 ნოემბრის №11 საბჭოს სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე, 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №229);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**